

ბანმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 2005-2006 კურსდამთავრებულები სწავლის პერიოდში აკადემიის სამხედრო მომზადების კათედრაზე გადიოდნენ 2 წლიან სამხედრო მომზადებას. სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ფუნქციონირებდა სამხედრო კათედრები. შსს აკადემიაში სამხედრო მომზადების კათედრაზე სწავლება ხორციელდებოდა იგივე სასწავლო პროგრამით, როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე. შსს აკადემიაში იმის გამო, რომ აკადემია იყო პოლიციური უმაღლესი სასწავლებელი, სამხედრო მომზადების კათედრის დასრულების შემდეგ არ ხორციელდებოდა სამხედრო შეკრების ორგანიზება და კურსდამთავრებულების ლოკუმენტაციის თავდაცვის სამინისტროსათვის მიწოდება. აკადემიის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ პოლიციის ოფიცრის წოდებები და ირიცხებოდნენ შსს რიგებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმის შემდეგ, კანონმდებლობის შესაბამისად, აკადემიის კურსდამთავრებულებს პოლიციის სპეციალური წოდებები ენიჭებოდათ მხოლოდ შსს ჩარიცხვის შემთხვევაში, ხოლო სამინისტროს სისტემაში ჩარიცხვა შეზღუდულია წვევამდებებისათვის, რა სტატუსიც (სამხედრო მომზადების კათედრის გავლის მიუხედავად) დღესდღეობით აქვთ აკადემიის 2005-2006 წლების კურსდამთავრებულებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 2005-2006 წლების კურსდამთავრებულებისთვის წვევამდელის სტატუსის მოხსნას, მათთვის რიგითის სამხედრო წოდების მინიჭებას და სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხვას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 2005-2006 წლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ამ კანონის მე-19 მუხლის ამოქმედებამდე გაიარეს სამხედრო მომზადების კათედრის სრული კურსი, მიენიჭებათ რიგითის სამხედრო წოდება და ჩარიცხებიან სამხედრო ძალების რეზერვში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.